საექსპერტო-კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №30-ში (საკადასტრო კოდი № 01.15.05.009.003), მშენებარე შენობის გავლენას მიმდებარე შენობა-ნაგებობების ტექ. მდგომარეობაზე

დასკვნა შეეხება ქ. თბილისი, რუსთაველის გამ. #30-ში (ს.კ. 01.15.05.009.003) მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების გავლენას მიმდებარედ არსებულ შენობებზე.

საპროექტო შენობას გარშემო ესაზღვრება: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან შოთა რუსთაველის გამზირის გასწვრივ არსებული ტროტუარი; სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა; სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა; ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 2 საკადასტრო ერთეულზე განლაგებული საცხოვრებელი სახლები, რომელთა მისამართებია: რუსთაველის #32, ნაკვეთის საკ. კოდი 01.15.05.009.004 და გრიბოედოვის #21, ნაკვეთის საკ. კოდი 01.15.05.009.009.

დასკვნის მოსამზადებლად მოხდა ადგილზე სიტუაციის შესწავლა, ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შესწავლილი იქნა მიჯნაზე არსებული შენობები და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა, ასევე პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, და ადრე ჩატარებული კვლევების საექსპერტო დასკვნები (შემსრულებელი: ს.ს.ი.პ. ლ.სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 13/03 2015 წელი და ა.(ა.)ი.პ. „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“ 15/05 2015 წელი); ასევე წარმოდგენილი იქნა შპს „რუსთაველი ფროფერთი“-სა და ბმა „გრიბოედოვის 21“-ს შორის 2020 წლის 28 იანვარს გაფორმებული **„შეთანხმება“.**

როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება გრიბოედოვის #21-ში მდებარე 3 სართულიანი მზიდკედლიანი შენობა და რუსთაველის #32 მდებარე 2 სარლიანი შენობა, ორივე მათგანს ასევე გააჩნიათ სარდაფები, შენობები მზიდკედლიანია, კერამიკული (წითელი) აგურით ნაშენები - კირის დუღაბის გამოყენებით. საძირკვლები ლენტური ტიპის, სართულშორისი გადახურვები ძირითადად ხის კოჭებზე მოწყობილი იატაკები, ზოგიერთ ადგილას გვხვდება თაღოვანი პრინციპითაც შესრულებული გადახურვებიც. რუსთაველის #32 შენობის გარეგნული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, რაც ასევე დადასტურებულია ლ.სამხარეულის სახელობის ექსტერტიზის ბიუროს 13/03 2015 დასკვნით. ხოლო გრიბოედოვის #21 შენობის ყოველგვარი ფუნდამენტალური (დეტალური) კვლევის გარეშეც მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებითაც შეიძლება დავასკვნათ რომ იმყოფება ამორტიზირებულ მდგომარეობაში, მზიდ კედლებში მრავლად აღენიშნება ბზარები, დეფორმაციები როგორც ვერტიკალური ასევე დახრილი და ჰორიზონტალური, რაც მიუთითებს ამ შენობის ავარიულ

მდგომარეობაზე. აღნიშნული შენობების მდგომარეობა დროის ფაქტორის გათვალისწინებით ყოველდღიურად უარესდება, მითუმეტეს მის სიახლოვეს არსებულ ქუჩებზე ავტომობილების ინტენსიური გადაადგილება კიდევ უფრო ცუდ გავლენას ახდენს ამ სახლების ტექნიკურ მდგომარეობაზე და დეფორმაციებს იწვევენ მზიდ კონსტრუქციებში.

გრიბოედოვის #21-ში მდებარე შენობაზე სხვადასხვა დროს იყო გამაგრე-გაძლიერების უშედეგო მცდელობები (გამაგრების კვალი ეხლაც ჩანს). აღნიშნული შენობის გამოკვლევის დროს ა.(ა.)ი.პ. „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ს მიერ 2015 წელს ჩატარებულ დასკვნაში კიდევ უფრო დეტალურად არის აღწერილი მისი ავარიულობის ხარისხი და ცალკეული უბნების ტექნიკური მდგომარეობა. ასევე იგივე დასკვნაში რეკომენდაციების სახით ჩამოთვლილი არის ის კონსტრუქციული ღონისძიებები რომელიც ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრის შენობის დაზიანების კერებს და გააუმჯობესებს მის ტექ. მდგომარეობას.

ა.(ა.)ი.პ. „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ს მიერ 2015 წლის დასკვნის გათვალისწინებით, რუსთაველის #30-ში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დასაწყისშივე (მშ. ორგანიზაციის და მშ. წარმოების პროექტის თანახმად), ეტაპობრივად მოეწყო მონ. რკ.ბეტონის კედლები არსებული შენობების გასწვრივ (დღევანდელი მდგომარეობით ეს სამუშაოები დასრულებულია). რის შემდეგაც სპეციალური მძლავრი (დიამეტრი 700 მმ.) ფოლადის მილების საშუალებით მიმდინარეობს აღნიშნულ ადგილებში ახლად მოწყობილი კედლების გადამაგრება. აღნიშნული ღონისძიება იძლევა საშუალებას მეზობელი შენობების მზიდი კონსტრუქციული ელემენტების დეფორმაციების თავიდან აცილების და შესაბამისად იძლევა საშუალებას სამშენებლო სამუშაოების წარმოების. რაც შეეხება გზების და ტროტუარების გასწვრივ სიტუაციას: რუსთაველის გამზირის გასწვრივ არსებული ტროტუარის მიჯნაზე შენობა უკვე მე-3 სართულის დონეზე არის ამოყვანილი, შესაბამისად ამ მხარეს აღარ განვიხილავთ. რაც შეეხება ჭავჭავაძის და გრიბოედოვის ქუჩების გასწვრივ სიტუაცის, აქაც ისევე როგოც ზევით ნახსენები შენობების გასწვრივ ეტაპობრივად მოწყობილი არის უკვე არსებული კედლების ქვეშ მონ.რკ.ბეტონის კედლები, აღნიშნული ღონისძიების პარალელურად ეწყობა ქვაბულის პერიმეტრის გასამაგრებლად ფოლადის განბჯენები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვაბულის კედლების მდგრადობას.

ზემოთ ხსენებული სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს წარმოდგენილი საპროექტო გაანგარიშებების და სამშენებლო ნახაზების შესაბამისად. ჩვენს მიერ მოხდა რამდენიმე რეკომენდაციის და მითითების მიცემა, როგორც საპროექტო გადაწყვეტებში ასევე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შესრულების თანამიმდევრობაზე, რაც პასუხისმგებელი სპეციალისტების მიერ მხედველობაში იქნა მიღებული და გათვალისწინებული.

დასკვნა:

1. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #30-ში (ს.კ 01.15.05.009.003) მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც მიმდინარეობს ა.(ა.)ი.პ. „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ს მიერ 2015 წელს დასკვნის გათვალისწინებით შესრულებული კონსტრუქციული პროექტის, მშ. ორგანიზაციის და მშ. წარმოების პროექტები შესაბამისად, გავლენას არ მოახდენს მეზობელ ნაკვეთებზე (რუსთაველის #32, ნაკვეთის საკ. კოდი 01.15.05.009.004 და გრიბოედოვის #21, ნაკვეთის საკ. კოდი 01.15.05.009.009.) მდებარე შენობა-ნაგებობებს ტექ. მდგომარეობაზე არც მშენებლობის დროს და არც ექსპლუატაციის პერიოდში.
2. ზემოთ ხსენებული „შეთანხმების“ საფუძველზე (გაფორმებული შპს „რუსთაველი ფროფერთი“-სა და ბმა „გრიბოედოვის 21“-ს შორის), რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ა.(ა.)ი.პ. „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ს მიერ 2015 წელს მომზადებულ დასკვნას და ასევე ს.ს.ი.პ. ლ.სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სხვადასხვა დროს მომზადებულ დასკვნებს, შედგენილია შენობის გამაგრებისათვის 1-ლი ეტაპის გადაუდებელი სამუშაოების პროექტი და მზადდება გრიბოედოვის #21-ის არქიტექტორულ/კონსტრუქციული სრული რეაბილიტაციის პროექტი. 1-ლი ეტაპის გადაუდებელი სამუშაოები განხორციელების პროცესშია, ხოლო დანარჩენი სამუშაოები უნდა განხორციელდეს სრული რეაბილიტაციის პროექტის დასრულების შემდგომ, „შეთანხმებით“ გათვალისწინებული პირობებით.

- მშენებლობის პერიოდში მკაცრად იქნას დაცული მშენებლობის წარმოების უსაფრთხოების წესები, მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი ნუგზარ მაისურაძე
cooh@cheerful.com

577-79-33-84

21.02.2020

დიპლომი

Ц № 016430

ეს დიპლომი მიეცა ნუგზარ იაკობის-ძე მაისურაძეს მასზე, რომ იგი 1958 წელს შევიდა ლენინის სახ. საქ. შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1967 წელს დაამთავრა სრული კურსი სპეციალობით „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა“

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1967 წ. „11“ მარტის გადაწყვეტილებით მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1967 წ. „30/III“

სარეგისტრაციო № 13563

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Ц № 016430

Настоящий диплом выдан Маисурадзе Нугзару Яковлевичу в том, что он в 1958 году поступил в Тбилисский ордена Трудового Красного Знамени политехнический институт имени В. И. Ленина и в 1967 году окончил полный курс названного института по специальности „Промышленное и гражданское строительство“

Решением Государственной экзаменационной комиссии от „11“ марта 1967 г. Маисурадзе Н. Я. присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „30“ III 1967 г.

Регистрационный № 13563

Московская типография Гознака. 1966.

პერსონალური & საკონტაქტო მონაცემები:

გვარი და სახელი: ნუგზარ მაისურაძე

დაბადების თარიღი : 03.01.1939

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ნიკოლაძის ქ. №4, ბინა: 3

ტელეფონი: *2226362 ; 577793384*

ელ. ფოსტა: cooh@cheerful.com

განათლება:

1959-1967 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი

1947-1958 - ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა

სამუშაო გამოცდილება:

1959-1960 - "თბილქალაქმშენის" №3 სამშენებლო სამმართველო. მუშა

1960 - 1961 - "თბილქალაქმშენის" №10 სამშ. სამმართველო. მე-4 თანრიგის მუშა.

1961 -1963 - ქ. თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სამშენებლო სამმართველო. რიგადირი.

1963 - 1967 - "თბილწყალსადენი" №1 უბნის კონტროლიორი.

1967 -1969 - საპროექტო ინსტიტუტი "თბილქალაქპროექტი" უფროსი ინჟინერი.

1969 - 1971 - საპროექტო ინსტიტუტი "გრუზგიპროტორგი" უფროსი ინჟინერი.

1971 - 1982 - ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს საპროექტო სახელოსნო. პროექტის მთავარი ინჟინერი.

1982 - 2001 - საპროჭტო ინსტიტუტი "თბილზნიიეპი" მე-2 არქიტექტორული სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი.

2002 - 2005 - შ.პ.ს. "დელტაპროექტი" მთავარი კონსტრუქტორი

2005 წლიდან – პენსიონერი.

პროფესიული გამოცდილება.

დაპროექტებული მაქვს მრავალი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ქ. თბილისში მ. მესხის სახელობის სტადიონი, საცხოვრებელი სახლი კოსტავას ქუჩაზე. ღკინისგზის სადგურები ქ. ხაშურში და ქ. ბათუმში.

ინჟინერი ნ. მაისურაძე.

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01009018592

სახელი ნუგზარ

გვარი მაისურაძე

დაბადების თარიღი 03.01.1939

დაბადების ადგილი თბილისი

№ ბ 1231059

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი იაკ.ნიკოლაძის ქ. N 4

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახური

გაცემის თარიღი 20 10.2008

მოქმედების ვადა უვადო

რეგისტრაციის თარიღი 20.10.2008

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

[illegible]